 სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 5 დეკემბრის დადგენილება №75 - ვებგვერდი, 06.12.2022წ.  
 სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 19 დეკემბრის დადგენილება №77 - ვებგვერდი, 20.12.2022წ.

#### მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2,528.0 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2,528.0
03 01	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება	1,674.9
03 02	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება	495.7
03 03	დასუფთავება	357.4

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება	დაფინანსება ათას ლარში
	03 01		1,674.9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება		
	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება ახორციელებს სამტრედიის მუნიციპალიტეტის		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ტერიტორიაზე ქუჩების დაგვა-დასუფთავებას საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან და მის გატანას, აგრეთვე, სანიაღვრე და საწრეტი არხების დანალექებისაგან გაწმენდა-გატანას, გარე განათების ქსელების მომსახურებას. ქვეპროგრამის მიზანია ეკოლოგიურად სუფთა, ესთეტიკურად ლამაზი ქალაქი, განათებული მუნიციპალიტეტი, ქალაქის გაწმენდილი არხები ბუნებრივი ნალექისგან.
მოსალოდნელი შედეგი	დასუფთავებული ქალაქი; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დამით განათებული ქუჩები; გაწმენდილი სანიაღვრე არხების შენარჩუნებული გამტარუნარიანობა.

პროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება	დაფინანსება ათას ლარში
	03 02		486.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ძირითადი მიზანი არის ქალაქის იერსახის გაუმჯობესება არსებული სკვერების, პარკების კეთილმოწყობით, სანერგე მუხრნობის მოწყობა-ექსპლოატაციით, მწვანე ნარგავების მოვლით. აგრეთვე, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება პარკების სანიტარული დაგვა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, პანთეონების და სასაფლაოების ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება.		
მოსალოდნელი შედეგი	სამტრედია გამწვანებული, კეთილმოწყობილი და ესთეტიკური ქალაქი.		

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება	დაფინანსება ათას ლარში
	03 03		357.4
პროგრამის აღწერა და მიზანი	დასუფთავების ღონისძიებები - სამტრედიის მუნიციპალიტეტში მაწანწალა ცხოველების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადებების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება.		
	ასევე, ხორციელდება დასუფთავების მიმართულებით სხვადასხვა საჭირო ღონისძიებები.		

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 იანვრის დადგენილება №32 - ვებგვერდი, 02.02.2022წ.

- სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 8 აპრილის დადგენილება №46 - ვებგვერდი, 11.04.2022წ.
- სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 5 მაისის დადგენილება №57 - ვებგვერდი, 06.05.2022წ.
- სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 ივლისის დადგენილება №68 - ვებგვერდი, 05.07.2022წ.
- სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 აგვისტოს დადგენილება №69 - ვებგვერდი, 18.08.2022წ.
- სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ოქტომბრის დადგენილება №71 - ვებგვერდი, 12.10.2022წ.
- სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 ნოემბრის დადგენილება №72 - ვებგვერდი, 10.11.2022წ.
- სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 დეკემბრის დადგენილება №73 - ვებგვერდი, 02.12.2022წ.
- სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 5 დეკემბრის დადგენილება №75 - ვებგვერდი, 06.12.2022წ.
- სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 19 დეკემბრის დადგენილება №77 - ვებგვერდი, 20.12.2022წ.

### მუხლი 15. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 6,254.0 ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა
04 00	განათლება	6,254.0
	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ( ბაღები და ბაგა-	



04 01	ბაღები)გაერთიანება	3,011.1
04 02	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	1,103.5
04 03	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი	253.7
04 04	სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ( ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობა	1,885.7

პროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება	დაფინანსება ათას ლარში
	04 01		3,011.1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სამტრედიის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ააიპ "სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები ) გაერთიანება", რომელიც აერთიანებს 24 საბავშვო და ბაგა-ბაღს, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1600 ბავშვი. ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მ.შ. მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს, ბავშვთა კვების ხარჯს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს. ასევე განხორციელდება არსებული ბაღების რეაბილიტაცია.სკოლამდელი გაერთიანება მოწოდებულია და მიზნად ისახავს მოამზადოს ბავშვი ფიზიკურად, ჩამოაყალიბოს მორალურად და ინტელექტუალურად. ბაღების გაერთიანება აქტიურად მუშაობს თემატური პროექტების, სხვადასხვა საზეიმო ღონისძიებების ჩატარების ხარისხზე, ამასთან, ხელს უწყობს შშმ ბავშვთა ჩართულობას სასაწავლო პროცესში, რაც თავის მხრივ შეამცირებს სოციალურ დახმარებაზე სახელმწიფოს მიერ გაწეულ ხარჯებს. სკოლამდელი აღზრდა ითვალისწინებს არა მხოლოდ ცალკეული უნარების განვითარებას, არამედ ბავშვის პიროვნული განვითარების ხელშეწყობაზე.		
მოსალოდნელი შედეგი	მრავალმხრივად განვითარებული და ზოგადსაგანმანათლებლო დაწყებითი საფეხურისთვის ლოგიკურად მოაზროვნე ბავშვი; კვალიფიციური აღმზრდელი; გაუმჯობესებული კვების რაციონი.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	04 02		1,103.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სამტრედიის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტორის, მშენებლობის, სამშენებლო ზედამხედველობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები და აგრეთვე, დაფინანსდება საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი	დაფინანსება ათას ლარში
	04 03		253.7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ფინანსდება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, სადაც ფუნქციონირებს სხვადასხვა წრეები, ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის აღსაზრდელები აქტიურად მონაწილეობენ რაიონულ, რეგიონალურ, რესპუბლიკურ ფესტივალ - კონკურსებში, ემსახურება მომავალი თაობების ინტელექტუალურ, ესთეტიკურ-ზნეობრივ აღზრდას.</p> <p>მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი უზრუნველყოფს ახალგაზრდების თვითრეალიზაციისთვის საჭირო გარემოს შექმნას. საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის შესაბამისად, ახალგაზრდული საქმიანობა ხორციელდება ფორმალური განათლების, ოჯახური და სამსახურეობრივი კონტექსტის მიღმა და ხელს უწყობს ახალგაზრდების განვითარებასა და კეთილდღეობას, საზოგადოებაში მათ აქტიურ მონაწილეობას და ინტეგრაციას. ელექტრონული სერვისების დანერგვა- განვითარება ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ინფრომირებას სხვადასხვა პროექტების შესახებ, რაც გაზრდის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა რაოდენობას. აგრეთვე, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი მიზნად ისახავს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, ინფრასტრუქტურის განვითარებას, რაც ხელმძისაწვდომს გახდის ყველა დაინტერესებული პირისთვის.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>სკოლისგარეშე სასწავლო პროცესი გახდება ხელმისაწვდომი ყველა ბავშვისთვის; სასწავლო დაწესებულება აღიჭურვება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. გაუმჯობესდება სასწავლო პროცესი. გაიზრდება სკოლისგარეშე, არაფორმალური და დამატებითი განათლების მიღებით დაინტერესებული მოსწავლე-ახალგაზრდობის რაოდენობა. სკოლისგარეშე არაფორმალური დამატებითი განათლება გახდება ხელმისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის და სოციალურად დაუცველი ოჯახების შვილებისათვის.</p>

პროგრამის დასახელება	კოდი	სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობა	დაფინანსება ათას ლარში
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	04 04	სამტრედიის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტორის, მშენებლობის, სამშენებლო ზედამხედველობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.	1,885.7
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამა ითვალისწინებს საბავშვო ბაღების რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებას და სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას.	
მოსალოდნელი შედეგი		რეაბილიტირებული საბავშვო ბაღები შექმნის აღსაზრდელებისთვის და აღმზრდელებისათვის სრულყოფილ სასწავლო გარემოს.	

- სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 იანვრის დადგენილება №32 - ვებგვერდი, 02.02.2022წ.  
 სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 8 აპრილის დადგენილება №46 - ვებგვერდი, 11.04.2022წ.  
 სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 5 მაისის დადგენილება №57 - ვებგვერდი, 06.05.2022წ.  
 სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 ივლისის დადგენილება №68 - ვებგვერდი, 05.07.2022წ.  
 სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 აგვისტოს დადგენილება №69 - ვებგვერდი, 18.08.2022წ.  
 სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ოქტომბრის დადგენილება №71 - ვებგვერდი, 12.10.2022წ.  
 სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 ნოემბრის დადგენილება №72 - ვებგვერდი, 10.11.2022წ.  
 სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 დეკემბრის დადგენილება №73 - ვებგვერდი, 02.12.2022წ.  
 სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 5 დეკემბრის დადგენილება №75 - ვებგვერდი, 06.12.2022წ.  
 სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 19 დეკემბრის დადგენილება №77 - ვებგვერდი, 20.12.2022წ.

**მუხლი 16. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)**

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 5,039.2 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	5,039.2
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	3,045.6
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქცია	1,467.4
05 01 02	სპორტული სკოლები	1,578.2
05 01 02 01	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი	116.2



05 01 02 02	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლა	244.1
05 01 02 03	ააიპ საფრენბურთო კლუბი "ჯიკო"	117.5
05 01 02 04	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელბურთელთა კლუბი "სამტრედია"	123.3
05 01 02 05	შ.პ.ს. "სპორტული კომპლექსი სამტრედია"	566.2
05 01 02 06	ა(ა)იპ „რაგბის კლუბი ფენიქსი“	186.9
05 01 02 07	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი "ფალავანი"	224.0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	1,264.7
05 02 01	სახელოვნებო სკოლები	625.9
05 02 01 01	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დ.შანიძის სახ. N 1 სახელოვნებო სკოლა	182.3
05 02 01 02	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლა	74.5
05 02 01 03	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ.ტოლების სამუსიკო სკოლა	51.7
05 02 01 04	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლა	105.6
05 02 01 05	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ.დ.ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა	73.9
05 02 01 06	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლა	65.7
05 02 01 07	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა	72.2
05 02 02	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი	539.2
05 02 04	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება	99.6
05 03	შპს „სამტრედიის მაცნე“	83.7
05 04	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი	47.6
05 05	ახალგაზრდული ორგანიზაციების, კულტურის, მეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსება,	332.6
05 05 01	ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება	33.1
05 05 02	კულტურის, მეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსება	299.5
05 06	ხონი-სამტრედიის ეპარქიის დაფინანსება	265.0

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას, ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ასევე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი



წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას,

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01		3,045.6
პროგრამის განმახორციელებელი	განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური.		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის დაინტერესება და ჩართულობის გაზრდა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქცია	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01		1,467.4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური; სამტრედიის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტორის, მშენებლობის, სამშენებლო ზედამხედველობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სპორტსმენებისათვის ხელშეწყობისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება:</p> <p>სამტრედიის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება ფასიანი საჩუქრებით;</p> <p>ოლიმპიადის, მსოფლიოს, ევროპის და საქართველოს ოფიციალური ჩემპიონატების საპრიზო (I,II,III) ადგილებზე გასული, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე სპორტსმენებისა და მწრთვანების წახალისება ფულადი ჯილდოთი;</p> <p>ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენების (წარსულში სამტრედიის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე წარმატებული ვეტერანი სპორტსმენი) დაჯილდოება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით;</p> <p>სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწრთვანების ტრანსპორტირებაში დახმარება;</p> <p>პროექტები: სასკოლო სპორტული ოლიმპიადისა და სპორტი ბარიერების გარეშე, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობენ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჯარო და საბაზო სკოლები.</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <p>ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში; წარმატებული ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენების დაჯილდოება</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, სპორტული ცნობიერების ამაღლება, სპორტულ-საზოგადოებრივ აქტივობებში ახალგაზრდების ჩართვა, სპორტის შესახებ მათი ცოდნის დონის ამაღლება. პატრიოტული სულისკვეთების გამძლიერება, ახალგაზრდების თავისუფალი დროის შინაარსიანი გამოყენება.		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული სკოლები	ათას ლარში
	05 01 02		1,578.2
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		<p>სპორტსმენებისათვის ხელშეწყობისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით განხორციელება სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება, სპორტული ინვენტარის შეძენა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება, სპორტსმენთა კვებით უზრუნველყოფა, შეკრებებისა და მივლინებების განხორციელება, პერსპექტიული სპორტსმენების მომზადება წლიური საწრთვნიელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისთვის მომზადება, მათთვის სოციალური პირობების შექმნა. 2022 წლის განვალობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ა(ა)იპ საცხენოსნო სპორტული კლუბი;</li> <li>• ა(ა)იპკომპლექსური სპორტული სკოლა;</li> <li>• ა(ა)იპ საფრენბურთო კლუბი "ჯიკო";</li> <li>• ა(ა)იპ ხელბურთელთა კლუბი "სამტრედია";</li> <li>• შპს სპორტული კომპლექსი "სამტრედია";</li> <li>• ა(ა)იპ რაგბის კლუბი „ფენიქსი“;</li> <li>• ა(ა)იპ საჭიდაო კლუბი " ფალავანი".</li> </ul>	
მოსალოდნელი შედეგი		<p>მოსალოდნელია და შესაძლებელი ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური ჩაბმა უმცროსი ასაკის მოსამზადებელ ჯგუფებში, რათა გაიზარდოს ინტერესი სპორტის სხვადასხვა სახეობების მიმართ. გაგრძელდება ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და შექმნება უფრო მეტად მიმზიდველი და საინტერესო გარემო მომავალი სპორტსმენებისათვის.</p>	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის "საცხენოსნო სპორტული კლუბი"	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02 01		116.2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის "საცხენოსნო სპორტული კლუბი"	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		<p>საცხენოსნო სპორტული კლუბი მუნიციპალიტეტში ინარჩუნებს ცხენოსნობის უძველეს ეროვნულ სახეობებს, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში დახმარებას უწევს ორთოპედიული დაავადებების მქონე პირებს. გარდა ამისა, ქმნის საჭირო პირობებს ახალგაზრდა ცხენოსანი სპორტსმენების განვითარებისთვის, რათა სამტრედიის საცხენოსნო სპორტული კლუბი კვლავ მრავალჯერ იყოს საქართველოს ჩემპიონი. იგი ერთადერთი საცხენოსნო კლუბია იმერეთის რეგიონში. ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება საცხენოსნო სპორტული კლუბის მიმდინარე ხარჯები, ასევე ხელფასი.</p>	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის "კომპლექსური სპორტული სკოლა"	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02 02		244.1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის "კომპლექსური სპორტული სკოლა"	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება სპორტული სკოლის მიმდინარე ხარჯები.</p> <p>სკოლის მიზანია სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპორტის ხელშეწყობა და განვითარება, ჯანმრთელი მომავალი თაობის აღზრდა და მუნიციპალიტეტში არსებული სპორტული ტრადიციების შენარჩუნება-გამოვლიერება. ახალგაზრდების მაქსიმალურად ჩართვა სპორტის სხვადასხვა სახეობათა ჯგუფებში. მოსახლეობის სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე პროგრამის განხორციელება მნიშვნელოვანია ბიუჯეტიდან სპორტის სუბსიდირების თვალსაზრისით დაფინანსება, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა გამოავლინონ მათი სპორტული შესაძლებლობები.</p>	





ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ " საფრენბურთო კლუბი ჯიკო"	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02 03		117.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ " საფრენბურთო კლუბი ჯიკო"		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	"საფრენბურთო კლუბი ჯიკო"-ს მიზანია მუნიციპალიტეტის ფარგლებში ქალთა გუნდური სახეობების და საზოგადოების ჯანსაღი წესით ცხოვრების პროპაგანდა, მოზარდ თაობებში მისი დამკვიდრება და პოპულარიზაცია. ინტენსიური მზადება ფრენბურთულ ქალთა გუნდ „ჯიკო“-ს სხვადასხვა შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის. კლუბის მთავარი ამოცანა კონკურენტუნარიანი სპორტსმენების მიწოდებაა როგორც საქართველოს ეროვნული, ასევე ახალგაზრდული ნაკრები გუნდებისთვის.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის "ხელბურთელთა კლუბი სამტრედია"	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02 04		123.3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის "ხელბურთელთა კლუბი სამტრედია"		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხელბურთის განვითარების ხელშეწყობა, მომავალი თაობის ჯანმრთელი და სწორი მიმართულებით განვითარება და ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა ვაჟებსა და გოგონათა შორის. საქართველოს მასშტაბით და მის ფარგლებს გარეთ გამართულ ჩემპიონატებში და ტურნებში მონაწილეობა, არსებული ტრადიციების შენარჩუნება და ახალი წარმატებების მოპოვება, აგრეთვე, მუნიციპალიტეტის ფარგლებში საზოგადოების ჯანსაღი წესით ცხოვრების პროპაგანდა, მოზარდ თაობებში მისი დამკვიდრება და პოპულარიზაცია, ჯანმრთელი მომავალი თაობის აღზრდა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	შპს"სპორტული კომპლექსი სამტრედია"	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02 05		566.2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	შპს"სპორტული კომპლექსი სამტრედია"		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სპორტი ერთერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი ასევე ფიზიკური) თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობასა და მათი ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაში. შპს „სპორტული კომპლექსი-სამტრედია“ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში. ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში, მასობრივი სპორტის განვითარება. შპს „სპორტული კომპლექსი-სამტრედია“ არის სამტრედიის ეროსი მანჯგალადის სახელობის, ცენტრალური საფეხბურთო მოედნის, სპორტული დარბაზის, საცურაო აუზის, მინი საფეხბურთო მოედნების და მისი მიმდებარე ტერიტორიების დროებით მოსარგებლე. მისთვის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ამ ტერიტორიის მოვლა შენახვა და მოსწავლეობისთვის, შპს „სპორტული კომპლექსი-სამტრედია“-ს სპორტსმენთათვის, ქალაქისა და ეროვნული ნაკრები გუნდების წევრებისათვის მატერიალურ-ტექნიკური და საწვრთნელი ბაზის შექმნა და ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა. შპს „სპორტული კომპლექსი-სამტრედია“-ს ძირითად საქმიანობაში შედის საცურაო აუზით, საფეხბურთო მინი მოედნებით, ცენტრალური საფეხბურთო მოედნითა და სპორტული დარბაზით მომსახურება. მისი მიზანია მაქსიმალურად დამაკმაყოფილებელი პირობების შექმნა მოზარდი თაობების ჯანსაღი ცხოვრების წესით აღზრდაში. ცენტრალური საფეხბურთო მოედანი სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების თანახმად უფასოდ ემსახურება საფეხბურთო სპორტულ კლუბ სამტრედიას და სპორტული სკოლის აღსაზრდელებს. ეხმარება და უზრუნველყოფს მათ მოწესრიგებული ინფრასტრუქტურით და მათი ვარჯიშისა და მატჩებისთვის საუკეთესო პირობებით.</p> <p>მისი მიზანია, ბავშვთა და ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარება, ასაკობრივი საფეხბურთო გუნდების ყოლა, რათა რაც შეიძლება მრავლად ჩაერთოს სპორტულ გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში მოსწავლე ახალგაზრდობა. საცურაო აუზი ძირითადად დატვირთულია მათთვის თვიდან სექტემბრის თვის ჩათვლით, აქ მაქსიმალურად დაცულია ჰიგიენური პირობები, ცურვის სპეციალისტები და მასაჟისტი ემსახურება სქოლიოზით დაავადებულ მოზარდებს. ცენტრალური საფეხბურთო მოედანზე მიმდინარეობს საფეხბურთო მატჩები და ტარდება სხვადასხვა საფეხბურთო ღონისძიებები. შპს „სპორტული კომპლექსი-სამტრედია“-ს თანამშრომლები მაქსიმალურად</p>		



ცდილობენ მოედნის პირობები აკმაყოფილებდეს, ნებისმიერი ლიგის სტანდარტებს. სპორტულ დარბაზში, ტარდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, მაქსიმალური პირობების დაცვით.

შპს „სპორტული კომპლექსი-სამტრედია“-ს მიზანია, გაიზარდოს საცურაო აუზის მუშაობის ხანგრძლივობა თვეების მოხედვით, შეიქმნას ცურვის შემსწავლელი წრეები, რათა უფრო მეტი ყურედება მიექცეს ბავშვთა და მოზარდთა ჩართვას სპორტულ ცხოვრებაში. ასევე მაქსიმალურად ვცდილობთ მოწესრიგდეს სპორტული დარბაზის შიდა ტერიტორია.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ „რაგბის კლუბი ფენიქსი“	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02 06		186.9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „რაგბის კლუბი ფენიქსი“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რაგბის "გუნდი ფენიქსი"-ს მიზანია სამტრედიის მუნიციპალიტეტში რაგბის განვითარების ხელშეწყობა და გაუმჯობესება, მომავალი თაობის ჯანმრთელი და სწორი მიმართულებით განვითარება და ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა, ვაჟებს შორის. ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში. აგრეთვე საქართველოს მასშტაბით და მის საზღვრებს გარეთ გამართულ ჩემპიონატებში და ტურნირებში მონაწილეობა, არსებული ტრადიციების შენარჩუნება და ახალი წარმატებების მოპოვება, წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდების კანდიდატების მომზადება. სპორტული ღონისძიებათა კალენდარის შემუშავებითა და შესრულებით სპორტული რეზერვების მომზადების ეფექტური სისტემის შექმნა. ჯანმრთელი მომავალი თაობის აღზრდა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი "ფალავანი"	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02 07		224.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი "ფალავანი"		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	"საჭიდაო კლუბი ფალავანი"-ს ძირითადი მიზანია ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა ჭიდაობის შესწავლაში, აგრეთვე, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა, ნაკრები გუნდებისათვის რეზერვების მომზადება, საწვრთნელი პროცესის ორგანიზება, მატერიალურ-ტექნიკური და საწვრთნელი ბაზის შექმნა, სამინისტროებისა და სხვა ორგანიზაციების დაკვეთით სპორტულ-მეთოდური საქმიანობის წარმოება. ქვეპროგრამა თვალისწინებს მსოფლიოს, ევროპის პრიზიორებსა და ჩემპიონებს ჭაბუკებში, ახალგაზრდებსა და დიდებს შორის წარმატებული სპორტსმენების წახალისების მიზნით სტიპენდიის გაცემას.		

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02		1,264.7
პროგრამის განმახორციელებელი	განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	სამტრედიის მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.		



მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების შენარჩუნება და დაცვა, სხვადასხვა გასართობი და კულტურული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა.
--------------------	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>სახელოვნებო სკოლები</b>	დაფინანსება ათას ლარში
	<b>05 02 01</b>		<b>625.9</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	შესაბამისი ააიპ		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სკოლების მიზანია ცოდნის მიცემა მუსიკის სფეროში, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განათლებულ-კულტურულ ადამიანად ჩამოყალიბებას, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებულ მოსწავლეთა გამოვლენას, მოზარდთა მხატვრული აზროვნების, გემოვნებისა და წარმოსახვის უნარის ჩამოყალიბებას, აგრეთვე, შემოქმედებითი საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებას. მოზარდთა მოზადება კონკურსებისათვის და უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლისათვის. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება შემდეგი მუსიკალური სკოლები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ააიპ დომენტი შანიძის სახელობის N 1 სახელოვნებო სკოლა</li> <li>• ააიპ N2 სამუსიკო სკოლა;</li> <li>• ააიპ სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლა</li> <li>• ააიპ გომის თემის სამუსიკო სკოლა</li> <li>• ააიპ სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა</li> <li>• ააიპ დაბა კულაშის სამუსიკო სკოლა</li> <li>• ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა</li> </ul>		
მოსალოდნელი შედეგი	მოზარდთა მოზადება კონკურსებისათვის და უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლისათვის. მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოზარდთა გამოვლენა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლა</b>	დაფინანსება ათას ლარში
	<b>05 02 01 01</b>		<b>182.3</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლის ხელფასები მიმდინარე ხარჯები. სკოლაში ირიცხება 221 მოსწავლე.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლა</b>	დაფინანსება ათას ლარში
	<b>05 02 01 02</b>		<b>74.5</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლის მიმდინარე ხარჯები. სკოლაში ირიცხება 130 მოსწავლე.		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 03		51.7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლის მიმდინარე ხარჯები. სკოლაში ირიცხება 52 მოსწავლე.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 04		105.6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის მიმდინარე ხარჯები სკოლაში ირიცხება 85 მოსწავლე.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 05		73.9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის მიმდინარე ხარჯები. სკოლაში ირიცხება 114 მოსწავლე.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 06		65.7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის		



მიზანი	მიმდინარე ხარჯები. სკოლაში ირიცხება 71 მოსწავლე.
--------	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 07		72.2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეას ძირითადი მიზანია პირობები შეუქმნას სამტრედიის მოღვაწე მხატვრებს თავიანთი შემოქმედების წარმოსაჩენად. ამავე დროს მიზნად ისახავს მისცეს მოსწავლეებს დაწყებითი სამხატვრო განათლება, აზიაროს ხატვის ხელოვნების საფუძვლებს, გააცნოს და შეაყვაროს ეროვნული კულტურის მემკვიდრეობა, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშები, იზრუნოს მოსწავლეთა ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაზე. მხატვართა დაინტერესებისა და სტიმულირებისთვის მოეწყოს გამოფენა-გაყიდვები. სამხატვრო სკოლა-გალერეას ამოცანა ხელოვანთა შემოქმედების პროპაგანდაა. განახლდება გალერეაში არსებული ფერწერული ტილოების ფონდი, რაც გულისხმობს თანამედროვე მხატვრების ნამუშევრების შექმნას და ამავდროულად, ფონდში დღემდე დაცული რამდენიმე ფერწერული ტილოს აღდგენა-რესტავრაციას.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		539.2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის მიზანია სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ჯგუფების კულტურულ-შემეცნებითი, საგანმანათლებლო მოღვაწეობის, დასვენებისა და გართობის უზრუნველყოფა, ახალი თაობის აღზრდა სახელოვნებო სფეროში; თეატრალური, ქორეოგრაფიული და მუსიკალური საქმიანობის ხელშეწყობა; სოფლებში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარება; თანამშრომლობა ადგილობრივი და მეზობელი მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.		
მოსალოდნელი შედეგი	სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჩართულობის მისაწვდომობის მიზნით საქმიანი კავშირების გაფართოება სამტრედიის მუნიციპალიტეტში არსებული სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებთან, საჯარო სკოლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებთან. საზოგადოების ფართო ჩართულობა ( მოყვარულის სტატუსით) თეატრალურ, სამუსიკო და ქორეოგრაფიულ დარგში. ურთიერთთანამშრომლობა მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან და მეზობელი მუნიციპალიტეტის ხელოვანებთან. საკულტურო მუშაობის გაფართოება სხვადასხვა კულტურულ-შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებები, შემოქმედებითი ჯგუფების საანგარიშო შემაჯამებელი კონცერტები		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 04		99.6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სამტრედიის მუნიციპალიტეტის „საბიბლიოთეკო გაერთიანება“ ერთიანებს 10 ბიბლიოთეკას, რომელიც ემსახურება 6689 მკითხველს. იგი ორიენტირებულია ხელი შეუწყოს ბიბლიოთეკებსა და საზოგადოებას შორის თანამშრომლობის ახალი ფორმების ჩამოყალიბებას, მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედებითი ნიჭის განვითარებას და აღზარდოს წიგნიერი თაობა. საბიბლიოთეკო გაერთიანება მუშაობს საბიბლიოთეკო ფონდის ელექტრონული კატალოგიზაციის მიმართულებით. მიზანია მოსახლეობის მომსახურება საბიბლიოთეკო ფორმებით და მეთოდებით, ახალი წიგნების, ჟურნალ-გაზეთების მიწოდება, ლიტერატურული სადამოები, შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან და სხვა.		



მოსალოდნელი შედეგი	დაფინანსებულია საბიბლიოთეკო გაერთიანება და გაზრდილია არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობა
--------------------	---

პროგრამის დასახელება	კოდი	შპს "სამტრედიის მაცნე"	დაფინანსება ათას ლარში
	05 03		83.7
პროგრამის განმახორციელებელი	შპს "სამტრედიის მაცნე"		
პროგრამის აღწერა და მიზანი	იგი ერთადერთი გაზეთია, რომელიც მაქსიმალურად აშუქებს ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას, მუნიციპალიტეტისა და საკრებულოს საქმიანობას. შპს "სამტრედიის მაცნე" მიზანია სტაბილურად გამოცემის უზრუნველყოფა და მოსახლეობაზე მიწოდება, ამავე დროს უზრუნველყოფს პოლიტიკური, საზოგადოებრივი, კულტურული და შემოქმედებითი საკითხების გაშუქებას. გაზეთი „სამტრედიის მაცნე“ ორიენტირებულია გამოხატოს საზოგადოებრივი ინტერესი, გააშუქოს საზოგადოების საჭირობორტო საკითხები, იყოს ობიექტური და მკითხველამდე სწორად მიიტანოს არსებული მდგომარეობა.		
მოსალოდნელი შედეგი	მასმედიის მედიატორის როლის გაძლიერება ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის, მოსახლეობის ინტერესის ზრდა გაზეთში გამოქვეყნებული მასალების მიმართ. მკითხველთა და ხელმომწერთა ზრდა, ინფორმირებული მოსახლეობა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის "საინფორმაციო ცენტრი"	დაფინანსება ათას ლარში
	05 04		47.6
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის "საინფორმაციო ცენტრი"		
პროგრამის აღწერა და მიზანი	საინფორმაციო ცენტრის მიზანს წარმოადგენს მჭიდრო ურთიერთობა ადგილობრივ ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის, რისთვისაც შექმნილია საინფორმაციო ყუთი და ცხელი ხაზი. მის მიერ შექმნილ ოფიციალურ ვებ. გვერდზე ( <a href="http://www.samtredia.com.ge">www.samtredia.com.ge</a> ) განთავსებულია ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ოფიციალური პირების შესახებ, ასევე, კულტურული და საზოგადოებრივი საკითხები, პერმანენტულად შუქდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ახალი ამბები. მისი მიზანია ურთიერთობა ახალგაზრდებთან და არაფორმალური განათლების კუთხით მუშაობა. საინფორმაციო ცენტრი ახორციელებს სოციალურ პროექტებს.		
მოსალოდნელი შედეგი	განახლებული დიზაინის და ტექნიკურად მოქნილი საიტი; საზოგადოების ინფორმირება საიტის საშუალებით; ახალგაზრდული ჯგუფის წევრების ჟურნალისტური უნარ-ჩვევების გამომუშავება თემში ინგლისური ენის გაუმჯობესება; თემში კომპიუტერის უნარ-ჩვევების გაუმჯობესება; საზოგადოებრივ-შემეცნებითი მადალპოლიგრაფიული ჟურნალის ბეჭდვა; საიტზე და სოციალურ ქსელში ვიდეო მასალების განთავსება; სამტრედიის და მიმდინარე მუნიციპალიტეტისთვის ბეჭდური მომსახურების შეთავაზება		

პროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდული ორგანიზაციების კულტურის, მეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	05 05		332.6
პროგრამის განმახორციელებელი	განათლების, კულტურის, მეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.		



მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის დაინტერესება და ჩართულობის გაზრდა
--------------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარებში
	05 05 01		33.1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს, ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების დაფინანსებას. ახალგაზრდების სხვადასხვა შემეცნებით და საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით მათ დაფინანსებას, ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას;</p> <p>ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მოპოვებული გრანტის მფლობელთა წახალისებას; სხვადასხვა ტიპის სასწავლებლების წარჩინებულ სტუდენტთათვის ფინანსური დახმარების გაწევას. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზება-დაფინანსებას,</p> <p>შშმ პირთა უფლებების დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზება-დაფინანსებას, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კოორდინირებულ თანამშრომლობას, ასევე ქვეპროგრამის მიზანია სამტრედიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი ინიციატივებისა და სხვადასხვა პროექტების ფინანსურ მხარდაჭერას. მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი პოტენციალის გამოვლენას, ინოვაციური იდეების მქონე საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობას. მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობას.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	საზოგადოებრივ აქტივობებში ახალგაზრდების ჩართვა, მათი ცოდნის დონისა და სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლება, პატრიოტული სულისკვეთების გაძლიერება, ახალგაზრდების თავისუფალი დროის შინაარსიანი გამოყენება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ძეგლთა დაცვის და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	05 05 02		299.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა ფესტივალებში, გამოფენებში, კონკურსებში ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობას, კულტურული პროექტების თანადაფინანსებას, წარმატებული, ღვაწლმოსილი, დამსახურებული ადამიანების წახალისება დაჯილდოებას, წარმოჩენას. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღმნიშვნელი საინფორმაციო ნიშნულების დამზადებას, სამტრედიის ღირსესანიშნაობების ამსახველი ბუკლეტების დამზადებას, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას, გასვლითი ტურების ორგანიზებას მუნიციპალიტეტის მასშტაბით, საგამოფენო სტენდების დამზადებას. მუზეუმის პოპულარიზაციის კუთხით სხვადასხვა აქტივობების გამართვას, მუზეუმის საერთაშორისო დღის აღსანიშნავას, ღონისძიებებში ადგილობრივი საჯარო სკოლების, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის, კულტურის ცენტრის, მუსიკალური და სახელოვნებო სკოლების შემოქმედებითი ჯგუფებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების აქტიურ ჩართულობას.</p> <p>კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და შენარჩუნებას.</p> <p>კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის მიმართულებით სხვადასხვა ღონისძიებებში დასწრებისა და მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირების უზრუნველყოფას.</p>		



მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში დაგეგმილი ღონისძიებები ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში შემოქმედებით, თეატრალურ, მუსიკალურ, მხატვრულ და ხელოვნების სხვა დარგების პოპულარიზაციას, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის კულტურის დონის ამაღლებასა და განვითარებას. მუნიციპალიტეტში დაგეგმილი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები უზრუნველყოფს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული რესურსის შესახებ, მიზნად დევნებს გახდეს მუნიციპალიტეტს ადგილობრივი და უცხოელი ტურისტებისათვის. მოხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურიზმის სხვადასხვა მიმართულებების განვითარება.
--------------------	--

პროგრამის დასახელება	კოდი	ხონი-სამტრედიის ეპარქიის დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	05 06		265.0
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ხონი-სამტრედიის ეპარქიის სუბსიდირება, დაფინანსდება მთავარი საკათედრო ტაძარი.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა.		

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 იანვრის დადგენილება №32 - ვებგვერდი, 02.02.2022წ.  
